ხელშეკრულება № 05-10/_18
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV-60100000)

სოფელი ფურტიო 2020 წელი

ერთის მხრივ, ლევან ბერიძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლა“ შემდგომში – „შემსყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის დროებით მ/შ მარიკა დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ რევაზ აბულაძე შემდგომში „მომსახურების მიმწოდებელი“, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებას დებენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, მომწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა, **„ტრანსპორტის დაქირავება მძღოლთან ერთად“ კერძოდ დაბა ქედიდან დიზელის ტრანსპორტირება.**

2. მიღება – ჩაბარების წესი

2.1. მომსახურების მიწოდება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ მხარეები ან მათ მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება შემსყიდველისათვის სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. მომსახურების ღირებულება შეადგენს **300** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების ჩათვლით.

3.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით ეროვნულ ვალუტაში.

4. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულების ელექტრონული ხემოწერის დღიდან 2020 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით

4.2 მომსახურების მიწოდების ადგილია შემსყიდველის იურიდიული მისამართი.

შუახევის რაიონი სოფელი ფურტიო.

5. მხარეთა უფლება –მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტის შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს მომსახურების ხარისხში და/ან მოწოდების პირობებში ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

დ) განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2 შემსყიდველი ღებულობს ვალდებულებას:

ა) აწარმოოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელი ღებულობს ვალდებულებას;

მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

არ გადასცეს მესამე პირებს მომსახურების განხორციელების პროცესში მიღებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

5.4. მხარეთა უფლება-მოვალეობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, მოწესრიგდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი ნორმებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

6.1. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკ-რულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.4. საჭიროების შემთხვევაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება გადასინჯულ იქნეს როგორც ხელშეკრულების პირობები ასევე ხელშეკრულების ფასებიც.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ვალდებულების შეუსრულებლობის პერიოდისათვის, ყოველ ვადაგა-დაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 29 იანვრის ჩათვლით.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ რომ არ გააჩნიათ ინტერესთა კონფლიქტი, გათვალისიწნებული მოქმედი კანონმდებლობით.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლა მის: შუახევი, სოფელი ფურიო საიდენტიფიკაციო კოდი 247863815 ბანკი: ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE53LB0121161895335000 ტელ: 588 88 71 39 ---------- დირექტორი : / მ. დუმბაძე/	ი/მ,,რევაზ აბულაძე“ მის. სოფელი ფურტიო ს/კ 1009004208 ბანკი:ლიბერთი ბანკის კოდი:TBCBGE22 ა/ნ:GE08TB7625636010100048 ტელ.571 18 26 ---------- რევაზ აბულაძე